

თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის  
სხდომის ოქმი  
№1

ქ. ქუთაისი

14 თებერვალი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- |                     |  |
|---------------------|--|
| კოტე რატიანი        | – ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.                              |
| ლევან ჭანჭალაიშვილი | – ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.   |
| ვასილ მებურიშვილი   | – ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.                                     |
| ირაკლი გიორგაძე     | – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.                              |
| ნოდარ მიქიაშვილი    | – ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე. |

**დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :** კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ქალაქ ქუთაისში სანიაღვრე ქსელების კაპ. შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის შესახებ.

**მოისმინეს:**

საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის (ქალაქ ქუთაისში სანიაღვრე ქსელების კაპ. შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) პროექტი.

**აზრი გამოთქევს:**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა, კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალაიშვილმა და ნოდარ მიქიაშვილმა.

**დაადგინეს:**

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ სანიაღვრე ქსელების კაპ. შეკეთებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის 21 თებერვალს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2012 წლის 21 თებერვლის 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე-3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:  კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი 

ვასილ მებურიშვილი 

ირაკლი გიორგაძე 

ნოდარ მიქიაშვილი 